№ 230 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. სამშაბათი ოქტომბრის 12 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

„მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედ-ესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედ-ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

926 10—3 მომარაგების სამინისტრო.

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობი-საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ
უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი 4000 მ.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებლებზე გადასტანის ხარჯისა და 10 პროც. სარგებლიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—3 მომარაგების სამინისტრო.

სახელმწიფო ოპერა

12 ოქტომბერს 1920 წ.

აბესალომ და ეთერი

მონაწილეობენ: მანდენოვა, ერმოლინსკაია, მაზოვეცკაია, ციბკი, გურჯი, სარაჯიშვილი, ვენაძე, ჭუმბურიძე, კურბატოვი, მოლოტოვი.

13 ოქტომ. 1920 წ. **ევგენი ონეგინი** | 14 ოქტომბერს 1920 წ. **გოვმანის ზღაპრები**

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

919 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს,

რომ სამგზავრო მატარებლების რიცხვის შემცირებისა და ადგილებზე პლაცკარტების მოშლის გამო, სამგზავრო ბილეთების ვისთვისმე შენახვა და რიგ გარეშე გაცემა ან კუპეების საკუთრად დათმობის წარმოება შეწყვეტილია,

რადგანაც ნაადრევათ ამ მიზნით ჩაწერა აკვეთილია.

ამის და მიხედვით გზათა სამმართველო სთხოვს ყველა დაწესებულებას და განსაკუთრებულ პირებს კვლავ არ მიმართონ მსგავსი თხოვნით, არამედ შეიძინონ სათანადო ბილეთები გზის სადგურების სალაროებიდან საზოგადო წესის და რიგის ქვეშ.

931 2—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სიები იმყოფება გამგეობის პირველ განყოფილებაში (განოვის ქუჩა, № 4) და ვინც არ არის შეტანილი, ან შეცდომით შეტანილია, უნდა განუცხადოს ამის შესახებ ქალაქის გამგეობას, პირველ განყოფილების საქმის მწარმოებელს.

935 1—1

ტფილისის საბაჟო ამით აცხადებს,

რომ ამა წლის 22 ოქტომბერს საბაჟოს ეზოში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ჩამორთმეული საქონლები: დამუშავებული თამბაქო, კაუსტიკური სოდა, ფართლეულობა და სხვა.

934 3—1

მომარაგების სამინისტრო ამით აცხადებს,

რომ 1) თანახმად მთავრობის 30 სექტემბრის დადგენილებისა, არავის არა აქვს უფლება, გამოიტანოს ხორბლეულობა—გორის, სიღნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან, გარდა მომარაგების სამინისტროსი.

2) მხოლოდ იმ პირთ, ვისაც ზემოაღნიშნულ მაზრებში აქვთ თავიანთი საკუთარი ჰექტარნახული, არა ყიდვით შეძენილი, არამედ ან ღალა თავის მამულის ან საკუთარიწან მისი ოჯახის ნამუშევარი, მას უფლება ეძლევა გამოიტანოს, მაზრიდგან თავის ოჯახის საჭიროებისეთვის ოჯახზე თვიურ სახარჯოთ არა უმეტეს ხუთი ფუთისა, ე. ი. სამოცი ფუთი წლიურათ. ამ რაოდენობის გამოტანა შეიძლება როგორც ერთად, ისე ნაწილობრივ:

შენიშვნა: ხორბლეულობა უნდა გამოგზავნილ იქმნეს რკინის გზით.

3) ხორბლეულობა, საქონლის მატარებლით, თუ ბაგაჟით, უნდა გამოგზავნილ იქმნეს აუცილებლივ მომარაგების სამინისტროს სახელზე სადგურ. ტფილისში, სადაც სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მიეცემა პატრონს ხორბლეულობა.

4) საბუთებათ საჭიროა: ა) მოწმობა ადგილობრივ ერობის ან თემის, რომ წამოღებული ხორბლეულობა არის წამომღების საკუთრება და რომ იგი არ არის მის მიერ შესყიდული, თანახმად ამ დადგენილების მეორე პუნქტისა; ბ) პასპორტი ან სხვა მოწმობა პიროვნების; გ) მოწმობა უბნის კომისარის მისი ოჯახის წევრთა ვინაობის და საცხოვრებელის ბინის მისამართი.

5) სადგურ ტფილისში დანიშნულია მომარაგების სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობა არის ამგვარათ გამოგზავნილი ხორბლეულობის გამოსაგზავნი და მისაღები დოკუმენტების შემოწმება და კანონიერათ გამოგზავნილი ხორბლეულობის მის პატრონისადმი გადაცემა და რეგისტრაცია.

6) თუ ხორბლეულობის გამომგზავნი ვერ წარმოადგენს ამ დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ საბუთებს, ან ყალბ საბუთებს წარმოადგენს, ან გასასყიდათ ჩამოიტანს,—ერთმანეთ ხორბლეულობა უსასყიდლოთ და თვით გამომგზავნი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

7) საზოგადო დაწესებულებანი, რომლებიც მისცემენ ხორბლის გამომტანს ყალბს მოწმობას, აგრეთვე იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

953 1—1. მომარაგების სამინისტრო.

ოფიციალური განუოფილება.

სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო გასავალი 1919 – 20 წლისა.

§§	მუხ.	ხარჯის დანიშნულება	ნავარაუდევია მანეთი	კაპ.
		საქართველოს დამფუძნებელი კრება.		
1	1	დამფუძნებელი კრების წევრთა გასამრჯელო	7085000	
	2	დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის საწარმომადგენლო ხარჯი	30000	
	3	დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის გაუთვალისწინებული და შემთხვევითი ხარჯისათვის	350000	
		1 §-ის ჯამი	7465000	
2	1	დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთა ჯამაგირი	1038515	
	2	საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა სამეურნეო ხარჯი	100000	
	3	წიგნთ-საცავის შევსებისა და სხვა ხარჯისათვის	1200000	
	4	სასტამბო ხარჯისათვის	547000	
	5	კანცელარიის საჭიროებისათვის დროებით მოწვეულ მომუშავეთა სასყიდლისათვის	10000	
	6	მოსამსახურეთა დახმარებისათვის	15000	
	7	კომისიებში მოწვეულ მცოდნე პირთა გასამრჯელოსათვის	20000	
		მე-2-ე § ის ჯამი	2930515	
3	1	დამფუძნებელი კრების წევრთა საგზაო და დღიური ხარჯისათვის	100000	
		მე-3-ე § ის ჯამი	100000	
		დამფუძნებელი კრების ხარჯის ჯამი	10495515	
1		**მთავრობის საქმეთა მმართველობა.**		
	1	მთავრობის თავმჯდომარის ჯამაგირი	97000	
	2	მთავრობის თავმჯდომარის საწარმომადგენლო	50000	
	3	მთავრობის თავმჯდომარის პირადი კანცელარიის მოხელეთა შენახვა	53600	
	4	მთავრობის თავმჯდომარის პირადი განკარგულებისათვის	50000	
		1-ლი §-ის ჯამი	250600	
2	1	მთავრობის საქმეთა მმართველობის პირადი შედგენილობის შენახვა	537920	
	2	საკანცელარიო და სხვა ხარჯი	137070	
	3	წიგნთ-საცავის მოსაწყობად	12000	
	4	მოხელეთათვის დახმარების აღმოსაჩენად საუბედურო შემთხვევის და ავადმყოფობის გამო	20000	
განსა კუთ.	უკანასკ.	დამატებითი ჯამაგირი სახელმწიფო მოხელეთათვის	262213	
		მე-2-ე და განს. უკან. §§-ის ჯამი.	969203	
	1	მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისთვის: სარევიზიო ფონდისათვის გასაგზავნ მოხელეთა თუ კომისიის წევრთა დღიური ფულით დასაკმაყოფილებლად და მიმდინარე ხარჯის დასაფარავად	200000	
	2	მთავრობის განკარგულებისათვის მატყლის, აბრეშუმის პარკის და სხვა ამგვარი უცხოეთში გასატანი ნედლი მასალის შესაძენად	130000000 *)	
	3	მთავრობის განკარგულებისათვის მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ-მოთხოვნილების საქონლის მისაწოდებლად	50000000 *)	
	4	მთავრობის განკარგულებისათვის საზოგადოებათა და კერძო პირთა დასახმარებლად და სხვა	353496	10
	5	მთავრობის შენობისათვის	200000	
		მე-3-ე §-ის ჯამი	180753496	
		მთავრობის საქმეთა მმართველობის ხარჯის ჯამი	181973299	10
		შინაგან საქმეთა სამინისტრო.		
		I.		
		ს ა ვ ა რ ა უ დ ო ნ ა წ ი ლ ი.		
1		ცენტრალი მმართველობა.		
	1	მინისტრი და მისი ამხანაგი	212800	
		1 §-ის ჯამი	212800	
2		სამინისტროს კანცელარია:		
	1	პირადი შემადგენლობა	1027435	
	2	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	285182	
	3	სალიკვიდაციო ხარჯი	50000	
		მე-2-ე §-ის ჯამი	1362617	
3		სამკურნალო-სასანიტარო განყოფილება:		
	1	პირადი შედგენილობა	682153	
	2	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	87300	
	3	საპროფილაქტო სახელოსნოს შენახვა	285092	
		მე-3-ე §-ის ჯამი	1054545	
4		**საბეჭდავი მმართველობა.**		
		საბეჭდავი ბიურო:		
	1	პირადი შედგენილობა	78591	
	2	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	2000	
		მე-4-ე §-ის ჯამი	80591	

შენიშვნა: *) ეს თანხები გადაცემულია მომარაგების სამინისტროში.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განუოფილება.

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან

1) ბათომის ოლქის საგანგებო კომისარს, 2) ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს, 3) ტფილისის ქალაქის სახლის სამართლის მილიციის უფროსს და 4) განსაკუთრებული რაზმის უფროსს.

თანახმად უცხო ვალიუტის ოპერაციის მოსწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს მიერ აგვ წლის 16 ენკენისთვეს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა, რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციის წარმოება მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის კანტროლის ქვეშ და მისი ინსტრუქციების თანახმად:

1) კავკასიის ბანკს; 2) ვაჭართა ბანკს; 3) ამიერ-კავკასიის ბანკს, 4) ევროპიულ ბანკს, 5) ცენტრო ბანკს, 6) ფრიდონოვის საბანკო კანტორას, 7) აზოვ-დონის ბანკი ტფილისის განყოფილებას, 8) ვოლგა-კამის ბანკის ტფილისის განყ., 9) საერთაშორისო ბანკის ტფილისის განყოფილებას, 10) იტალო-კავკასიის ბანკის ტფილ. განყოფილებას და 11) კოოპერატიულ ბანკს.

ის პირები, რომლებსაც ზემო დასახელებულ ბანკთან აქვთ საქმე, თავისუფალნი არიან სავალიუტო ოპერაციების წარმოებაში. ხოლო ჩემდამი მოსულ ცნობებით არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი კერძო პირთა, რომელნიც გარეშე ხსენებულ ბანკებისა. მალულად აწარმოებენ სავალიუტო ოპერაციებს, გიბრძანებთ მიიღოთ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, დამნაშავენი დაატუსაღოთ, ჩარიცხოთ ჩემზედ და ოქმი წარმომიდგინოთ მე.

მინისტრის ამხ. ჭიჭინაძე.

შინაგ. საქ. სამინისტროში.

პალესტინაში მიმავალი ებრაელები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა შუამდგომლობა სიონისტურ ორგანიზაციებისა რუსეთიდან პალესტინაში მიმავალ ებრაელების საქართველოზე გაშვების ნებართვის მიცემის შესახებ, გადასწყვიტა იგი დადებითად შემდეგი პირობებით: 1) ნებართვა მიეცემათ ინგლისის წარმომადგენლობის მიერ ემიგრანტთა პასპორტების დამოწმების შესახებ თანხმობის გამოცხადების შემდეგ, შემოწმება მოხდება იმ მოწმობებით, რომელთაც მათ სიონისტური ორგანიზაცია მისცემთ. 2) ემიგრანტები კავკავიდან ან ბაქოდან უნდა წავიდენ პირდაპირ ბათომში ან ფოთში, მათ არ მიეცემათ უფლება ტფილისში და საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩერებისა. 3) რათა აცილებულ იქმნას ფულის ნიშნების უცხო ვალიუტაზე გადაცვლა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, სიონისტურმა ორგანიზაციამ თვით უნდა მიიღოს თავის თავზე ემიგრანტების სამგზავრო ფულის გადახდა, ან უნდა გადაცვალოს საქართველოს სახელმწიფო ბანკში განსაზღვრული თანხა ფულისა უცხო ვალიუტით, რომლითაც სიონისტურ ორგანიზაციის რწმუნებული გადაიხდის გემის ბილეთის საფასურს გამგზავრების პუნქტზე (ბათომი, ფოთი). 4) ნებართვები, რომლებიც მიეცემათ ებრაელ ემიგრანტებს რუსეთში მყოფ საქართველოს კონსულების მიერ სიონისტურ ორგანიზაციის მოწმობების თანახმად საკმარისია იმისათვის, რომ ემიგრანტებმა მიიღონ საქართველოზე გასვლის ნებართვა ისე რომ საჭირო არ იქნება ყოველ ცალკე შემთხვევაში დაამტკიცოს მათი მოწმობები შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

კამენევი მოსკოვში.

სტოკგომლიდან იუწყებიან: კამენევი რეველში გაემგზავრა. მისივე სიტყვით მან საბჭოთა მთავრობას ლოიდ-ჯორჯის კონკრეტიული წინადადებანი უნდა გადასცეს.

რუსეთ-იაპონია.

„ჟურნალი დე დემა“ იუწყება: თანახმად ვლადივასტოკიდან მოსულ ცნობისა მოსკოვის მთავრობა თანახმაა დაუჭიროს მხარი იაპონიის პროექტს აღმოსავლეთ ციმბირში დამოუკიდებელ სახელმწიფოს—ბუფერის შექმნასო. ახალ სახელმწიფოს სატახტო ქალაქათ ვერხნე-უდინსკი იქნება. სახალხო ყრილობამ ჩიტაში აირჩია კოალიციური კაბინეტი, რომელშიაც შედიან სოციალისტები და მემარცხენე კადეტები.

რუსეთის მდგომარეობა და ინგლისის პრესა.

ინგლისის პრესა კვლავ უძღვნის კრიტიკულ წერილებს ფროსარის და კაშენის რუსეთის მდგოსარეობის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს: „დეილი ქრონიკელი“ სწერს: ფროსარი აქებს რუსეთის თავისუფლებას, რომელიც მისივე სიტყვით სრულიად შლის პიროვნებას. რუსეთი თავის მოქალაქეთ პირადი თავისუფალი ინიციატივის მაგვრად იძულებით სამუშევარს აძლევს. საბჭოთა რუსეთის მოქალაქეს არა აქვს უფლება ბინის გამოცვლისაც კი, თუ მას არ ექნა სათანადო ნებართა.

გლეხების აჯანყება უკრაინაში.

გაზეთი „ლვოვსკი“ იუწყება: უკრაინაში გლეხების საერთო აჯანყება ხდება. აჯანყება ბოლშევიკების მიერ მოწყობილმა რეკვიზიციებმა გამოიწვიეს. აჯანყდა მთელი პოდოლია. ტირასპოლში აჯანყებულთ მე-361 საბჭოთა პოლკი მიემხრო.

სოც. პარტიის რეფერენდუმი ამერიკაში.

ამერიკულმა სოც. პარტიამ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შესახებ თავის წევრებს შორის რეფერენდუმი მოახდინა. პროლეტარიატის დიქტატურა იმ სახით როგორც ეს რუსეთშია დიდი ხმის უმეტესობით იქნა უარყოფილი.

საბჭოთა რუსეთი ბარბაროსობისაკენ.

„ტანი“ სწერს: საშინელ ფატალიზმით მიექანება საბჭოთა რუსეთი ბარბაროსობისაკენ. სასოფლო მეურნეობა და ინდუსტრიალური მრეწველობა სრულიად მოსპეს. ფინანსიური და სამრეწველო დაწესებულებანი დაიხურა. შრომის ნაყოფიერება საშინლად დაეცა. საბჭოთა მთავრობა იძულებულია მიმართოს ძველ მეთოდებს. აწესებს პრემიის სისტემას და სხვა. მიუხედავათ კომუნიზმის აგიტაციისა, თავს იჩენს საშინელი ეგოიზმი, განსაკუთრებით კი გლეხებისა, ქალაქები შიმშილობენ. რუსეთი მეთოდიურად მიექანება დაღუპვისაკენ. თუ იგი კიდევ არსებობს, ამის მიზეზია ის მილიტარისტული ხელი, რომლითაც არის გაჟღენთილი საბჭოთა მთავრობის ყოველი ზომა, უეჭვოა რომ რუსის ხალხში არის ნიადაგი ბოლშევიზმისათვის. ბოლშევიზმის საფუძველი არის ის უკულტურობა, რომელშიაც იმყოფება მთელი რუსეთი.

ვრანგელის და პეტლიურას მთავრობა.

სექ. 27. „იზვესტია“ იუწყება: თანახმად „ნოვოე სლოვის“ აიტყვებისა ვრანგელმა წინადადება მისცა პეტლიურის მთავრობას გამართოს მასთან მოლაპარაკება ბოლშევიკების წინააღმდეგ შეთანხმებულ მოქმედების შესახებ. ვრანგელი თანახმაა იცნოს უკრაინის ავტონომია. ვრანგელსა და პეტლიურას შორის შეთანხმება იძლევა საშვალებას ვრანგელის და პეტლიურას ჯარებით გაერთიანებულ ფრონტის შექმნისა, რომელსაც პოლონეთი გაუწევს დახმარებას.

„იზვესტია“ იუწყება აგრეთვე, რომ საფრანგეთმა გადასწყვიტა გაუგზავნოს ვრანგელს რუსი ოფიცრები, რომლებიც საფრანგეთში, გერმანიაში და პოლონეთში იმყოფებიანო.

ამასთანავე გადაწყდა გაგზავნონ ყირიმში დენიკინისათვის დამზადებული სამხედრო მასალა, რომელსაც რუმინეთში მოუყარეს თავიო.

(გაზეთებიდგან.)

დაღესტნის რევკომი.

„ვოლნი გორეცი“-ს ცნობით დაღესტნის რევკომის შემადგენლობაში შედიან შემდეგი პირნი: სახალხო განათლების რევკომი—კოვალევი, ჯანმრთელობის—საგარდაგიანა; მიწად-მოქმედების—ახუნდოვი; გზათა—ლაიტერი; მომარაგების—გოლდშტეინი; რევ-ტრიბუნალის თავმჯდომარე ისაევ; სოციალურ უზრუნველობის—ოსმან ოსმანოვი; ამ რიგად დაღესტნის რევკომში მხოლოდ ორი დაღესტანელია, ოსმან ოსმანოვი და ახუნდოვი.

მთიელთა რესპუბლიკა.

მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხი გადასწყდა, მალეც მოელიან მთიელთა რესპუბლიკის აღიარებას. ამაზე სწერენ ბევრს და ლაპარაკობენ. მთიელთა ხალხი და მათი მესვეურები ბევრს მუშაობენ და იმედია მათი მუშაობა მალე ნაყოფსაც გამოიტანს. მთიელთა ხალხი გამოღვიძებულია და იგი უკვე მზადაა მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცვას სამშობლო.

დიდი ბრიტანეთის პროტესტი.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა პროტესტით შეჩვდა რუსეთის პროფესიონალურ დელეგაციების ჩასვლას ინგლისში. ბრიტანეთი წინააღმდეგია, რომ რუსეთმა, რომელიმე პრო-

ფესიონალურ კავშირის დელეგატი გამოგზავნოს ინგლისში.

ინგლისელი კომუნისტები.

ინგლისის მუშათა პარტიამ თავის შემადგენლობაში არ მიიღო ინგლისის კომუნისტები.

თერგის ოლქში.

თერგის ოლქში ძარცვა-გლეჯა მეტად გახშირდა. დაპატიმრება და გაქურდვა ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული. ალაგირში მცხოვრებნი ტეროორის ქვეშ იმყოფებიან. საერთოდ მღელვარება და დიდი არევ-დარევა ატყვია მთელ თერგის ოლქს.

ბუხარის რევოლიუციონური მთავრობა.

ბუხარაში შესდგა რევოლიუციონური მთავრობა. ბუხარის სოვნარკომის თავმჯდომარედ არჩეულია ფაიზულა ხოჯაევი. მასვე საგარეო საქმეთა კომისრობა აქვს მინდობილი; შინაგან საქმეთა კომისარი—სეიჯანოვი. იუსტიციის კომისარი—ბუჩრანოვი. სამხედრო კომისარი—კულმუხამედოვი; ფინანსთა კომისარი—იუსმანხოდაევი.

დაღესტანის ბოლშევიკები.

ავარიაში უკანასკნელ დროს მომხდარ ამბების გამო დაღესტნის ბოლშევიკებში შიში ტრიალებს. თემირ-ხანშურაში დიდ სამხედრო მასალას ამზადებენ ბოლშევიკები.

ოსმალეთის ამნისტია.

ოსმალეთმა ახალი დეკრეტი გამოაქვეყნა ამნისტიის შესახებ. დეკრეტი ეხება ყველას, გარდა მუსტაფა ქემალსა და მის ამხანაგებსა.

სომხეთში.

მობილიზაცია 50-წლამდე.

მიღებული ცნობებით ყაზახს იქით სომხეთში 50 წლამდე მობილიზაცია გამოცხადდა. მთელი ჯარი ოსმალეთის ფრონტისკენ გადაიყვანეს. აზერბაიჯანის საზღვრებზე მოსაზღვრე სოფლებიდან გამოსული ჯარი დააყენეს.

ახალი ამბები

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲝᲑᲐ. ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გ. ხუნდაძეს, მომარაგების სამინისტროს და მუშათა მაგიდას წარუდგინა ის ოქმის პირი, რომელშიც აღნიშნული იყო მიზეზი პურის მშრალად გამოუცხობლობისა და მოსთხოვა გასაცემ ფქვილში ქერის ფქვილი არ აღემატებოდეს 30 პროცენტს. ოქმში აღნიშნულია, რომ მიზეზი პურის მშრალად გამოუცხობლობისა ქერის დიდი პროცენტია. იმ ხორბლის ფქვილში, რომელსაც იძლევა მომარაგების სამინისტრო არ შეიძლება ქერის ფქვილის 20 პროცენტზე მეტის შემატება.

ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ. ოქტომბრის 8 ბრაილოვსკის თავმჯდომარეობით შესდგა ტეხნიკურ კომიტეტის სხდომა, სადაც იმსჯელეს ელექტრონის სადგურის სათბობის მასალის მდგომარეობის შესახებ. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მან მოიწვია ელექტრონის სადგურის მეპატრონეები და წინადადება მისცა შეედგინათ სია თუ რა ხელსაწყო აკლიათ. სათათბირო ბიუროს დაარსების შესახებ დაადგინეს: დაარსდეს ასეთი ბიურო 5 პირისაგან შემდგარი და დაეხმაროს ის ელექტრონის მეპატრონეებს. ბიუროში შევლენ წარმომადგენლები ტეხნიკურ კომიტეტიდან, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან, ქალაქის გამგეობიდან, ელექტრონის სადგურის მეპატრონეთა კავშირისაგან და ადგილობრივ პოლიტეხნიკუმიდან.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ. დამფუძნებელ კრებამ აწყურის თემის გამგეობის თავმჯდომარის ზედგინიძის ხელმოწერილი მისალმებითი ბარათი მიიღო.

ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲐ. „ჩემოს“ ცნობით 1920 წლის იანვრის 1 ოქტომბრის 1 ნავთსადგურიდან იქმნა გატანილი 8139 მილ. ფუთი შავი ქვა. ამას გარდა მთავრობისთვის თვითღირებულების ფასში დათმობილ 3 მილიონ ფუთ შავი ქვიდან გატანილ იქმნა 676,000 ფუთი.

ᲮᲐᲮᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲨᲘ. ოქტომბრის 10 საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრა სილნაღში, სადაც დარჩება ოქტომბრის 15-მდე. სილნაღში ოქტომბრის 16 ნაფიც მსაჯულთა არჩევნები არის დანიშნული.

ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ. ოქტომბრის 8 საოლქო სასამართლოს სესია კურმანოვიჩის თავმჯდომარეობით ახალქალაქში გაემგზავრა. ახალქალაქში სასამართლოს სესია გაგრძელდება ოქტომბრის 11 იმავე თვის 15-მდე. შემდეგ სესია გაემგზავრება ახალციხეში, სადაც დარჩება ოქტომბრის 18—23-მდე.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ გადავიდა საზამთრო ბინაზე 10 ოქტომბრიდან.

„ᲔᲠᲝᲑᲐ“. მივიღეთ ჟურნ. „ერობის“ № 8; ჟურნალში მოთავსებულია: „ერობა და კულტურული მუშაობა“, „ფიქრები საერობო თვითმართველობის შესახებ“ ნ. საქარელისა, „საზოგადოებრივი წარმოება“ ვ. თევზაიასი, „პატარა წერილები“ გრ. ს—ქედელისა და სხვ. საერთოდ ჟურნალი მეტად შინაარსიანად და ლამაზად არის გამოცემული.

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲔᲠᲝᲑᲐ. სილნაღის სამაზრო ერობა იწვევს უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის გამგეებს და მასწავლებლებს. თვითეული მასწავლებელი და გამგე არსებულ ჯამაგირებს გარდა თემებიდან მიიღებენ თვიურად 2000 მანეთს. მსურველებს შეუძლიანთ დაუყოვნებლივ მიმართონ საერობო გამგეობას სილნაღში.

Წ. Კ. Გ. ᲡᲐᲖᲝᲒ. ᲙᲠᲔᲑᲐ. კვირას, 31 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია წ. კ. გ. საზოგ. ტფილ. განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1) მოხსენება წ. კ. გამავრ. საზოგ. მთავარ გამგეობისა, საზოგად. ტფილისის განყოფ. მდგომარეობის შესახებ; 2) არჩევნები განყოფილების ახალ წევრებისა; არჩევნები განყოფ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ᲢᲤ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

უკანასკნელი დადგენილებანი.

ქალაქის გამგეობამ პირველ ოქტომბრიდან გაადიდა შეშის ნიხრი: მაგარი ხარისხის შეშა 12 ვერშოკიანი ეღირება 12000 მანეთი; 24 ვერშოკიანი 11500 მან.; რბილი ხარისხის შეშა 12 ვერშ. 10,000 მან.; 24 ვერშოკ. 9,500 მან.; ფუთობით: 1 რაიონში 60 მან., 2 რაიონში, 63 მან., 3 რაიონში 66 მან.; 4 რაიონში 69 მან.

— აკ. პაპავას მოხსენების თანახმად საბინაო განყოფილებას დაევალა: მოახდინოს ბინების აღწერა საბინაო დავთრების მიხედვით იმის გამოსარკვევად თუ რომელ ბინაში შეიძლება იმ მოქალაქეთა ჩასახლება, რომელნიც უბინაოდ არიან დარჩენილნი.

— ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს სამხედრო სამინისტროს წინაშე, რათა მან ქალაქის თვითმართველობას გადასცეს ყოფილი „საპიორის ბათალიონის“ შენობა საპიორის ქ. სტუდენტთა თავშესაფარის მოსაწყობად.

— გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენების თანახმად ქალაქის ელექტრონის ენერგიის ძალაზე გადიდებულია ნიხრი ამნაირად: სახელმწიფო და საზოგადო ბინებზე კილოვატი 38 მან., სავაჭრო, სამრეწველო და გასართობ დაწესებულებებზე 52 მან., ათ სანთლიან ლამპაზე სახელმწიფო და საზოგადო ბინებზე 68 მან.; სავაჭრო, სამრეწველო და გასართობ დაწესებულებებზე 95 მან., 16 სანთლიანზე სახელმწიფო და საზოგ. დაწესებ. 110 მან., სავაჭრო, სამრეწვ. და გასართობ დაწესებ. 140 მან. 25 სანთ. ლამპაზე სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებზე 171 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწეს.—234 მან. 32 სანთლიანი საზოგადო და სახელმწიფო დაწეს. 220 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებზე—280 მან. 50 სანთლიანი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებზე—342 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწეს.—468 მან. 100 სანთლიანი საზ. და სახელმწ. დაწეს.—684 მან. სავაჭრო და სამრეწველო—930 მან.

— ქალაქის აბანოების საჭირო მაზუთის შესაძენად გამგეობამ გადასდო 100.000 მანეთი.

— თანახმად მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის მოხსენებისა ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოსთვის და მის ხუთ განყოფილებისთვის გამგეობამ გადასდო დამატებითი თანხა 64280 მანეთი საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად.

— ქალაქის სახლების საჭიროებისათვის გადასდო 80.000 მანეთი.

— ი. ბესელიძის მოხსენების თანახმად გაგეობამ გადასწყვიტა მოახდინოს საბინაო განყოფილების რეორგანიზაცია, რეორგანიზაცია მოხდება როგორც პირადი შემადგენლობისა, ისე თვით საქმის წარმოებისაც. შეიქმნება ახალი სისტემა განყოფილებისა. ამ რეორგანიზაციისთვის შემუშავდა წესები.

— სოციალურ დახმარების ცენტრალურ საზოგადოებას გადაეცა დიდუბის ღამის თავშესაფარი მთელი თავისი ინვენტარით. მასვე გადაეცა უფასო სასადილოების მოსაწყობი თანახმად თვიურად 38.400 მან.

— სასურსათო განყოფილების გამგეობის წევრს კ. ფანიევს ნება დაერთო აიღოს სესხათ სასურსათო ოპერაციების საჭიროებისათვის, ფართლეულობის დაგირავების ქვეშ 1.500.000 მან. აზოვ-დონის ბანკიდან და 1.000.000 მან. პეტროგრადის საერთაშორისო ბანკიდან ერთი თვის ვადით.

— კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოებას „კახეთს“ გადაეცა ავლაბრის როზოვი მოედანზე შადინოჭის მაღაზია.

სახელმწიფო ბანკი.

უარყოფა ცნობისა სახელმწიფო ბანკის მიერ.

სახელმწიფო ბანკის კანცელარია გვთხოვს ვაცნობოთ საზოგადოებას შემდეგი: „წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზ. ბორბაში მე-№ 228-ში „ვალიუტის ბაზრის მოწესრიგების“ სახელწოდებით, ავტორი განმარტავდა რა, უცხო ვალიუტის ოპერაციის მომწესრიგებელ საგანგებო თათბირის სავალდებულო დადგენილებას, სხვათა შორის სწერდა: „როგორი ვაჭრობის თავისუფლება არის აქ, როდესაც რომელიმე საქონლით მოვაჭრეს, რომელმაც შემოიტანა საქონელი საქართველოში და გაყიდა იგი ბონებზე შეუძლია შეიძინოს მაგიორი ვალიუტა საქონლის შემოსატანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარადგენს სათანადო მოწმობას იმისას, რომ აღნიშნული ვალიუტა სწორედ ვაჭრობა-მრეწველობის მიზანს მოხმარდებაო“ სახელმწიფო ბანკის გამგეობის მონდობილობით, ბანკის უცხოეთის განყოფილება იუწყება: ავტორის მოყვანილი დებულება არ შეეფერება საგანგებო თათბირის სავალდებულო დადგენილებას, ვინაიდან საქართველოში უცხოეთის საქონლის შემომტანელთ აქვთ სრული უფლება მიიღოს უცხო ვალიუტა, მიუხედავათ იმისა განზრახული აქვთ მათ შემოიტანონ საქონელი საქართველოში ხელმეორედ თუ არა. სავალდებულო დადგენილების მეექვსე პუნქტი-კი რომელსაც როგორც სჩანს, არჩევს მოქალაქე ე. ი. შეეხება მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც პირველად შუამდგომლობენ მისცეს მათ უცხო ვალიუტა და აქვთ განზრახვა შეძენილ ვალიუტით შემოიტანონ საქართველოში საქონელი.

სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება.

ოქტომბრის 7, საღამოს მატარებლით ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გასახსნელად გაემგზავრნენ სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრი ი. ს. მენაბდე, და ბათომის განყოფილების გამგე დ. ს. ვაჩნაძე განყოფილების უფროს მოსამსახურეებთან ერთად. განყოფილების გახსნა უახლოეს დღეებში არის განზრახული.

დებრიუკერი სახელმწიფო ბანკში.

პარასკევს ოქტომბრის 8, საქართველოს სახელმწიფო ბანკი ინახულა ევროპის სოციალისტურ დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა. სახელმწიფო ბანკის გამგეობასთან და გამგეობის წევრებთან საუბრის დროს დებრიუკერს აინტერესებდა სახელმწიფო ბანკის კონსტრუქციასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებით აინტერესებდა მას დამოკიდებულება სახელმწიფო ბანკსა და დამფუძნებელ კრების და სხვა სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებათა შორის.

ᲔᲠᲝᲑᲐ

თფილისის სამაზრო ერობაში.

ტფილისის მაზრის ერობა უკვე შეუდგა ხმოსანთა ყრილობის დავალების აღსრულებას დილმის არხის შესახებ. 3 ოქტომბერს დილომში გაემგზავრა კომისია, რომელშიაც შედიოდენ ინჟენერები ბ. ბ. კ. მამრაძე, იოს. ვაწაძე, არჩ. ბილანიშვილი და ხმ კიბ. ჭყონია და ლებანიძე, არხის მიმართულების და სათავის გაზომაკვლევად.

კომისიის დასკვნით არხის სათავე დაიწყება წიწამურიდან (მცხეთის ზევიდან) და სივრცე მინდვრისა, რომელიც მოირწყვის ამ არხით მტკვრის გადმოლმა, დილმისა და ქალაქის მიდამოებში დაახლოვებით იქნება 20000 დესეტინამდე.

საქმე დიადია და მოითხოვს დიდ ხარჯებსაც. ხარჯებს გაიღებენ უმთავრესად დილმის საზოგადოება და მაზრის ერობა, მაგრამ ამ საქმეში კომისიის აზრით დაინტერესებული უნდა იყვეს აგრეთვე ქალაქიც, რომელიც ბოსტნეულობის დიდ ნაწილსღებულობს დილმიდან და შემდეგ მიღებულია სათვალავში აგრეთვე მთავრობის დახმარებაც. დროებით რწმუნებულათ ამ არხის გაყვანის საქმეთა წარმოებისათვის ერობას მოწვეული ჰყავს ხმ. ბ ნი ჭყონია.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

შამილის საიდუმლოება და ა. ვ. ორბელიანი.

(დასასრული)

№ 223, 224, 226, 227, 229, 230

შამილი რომ ქართველებს კარგათ იცნობდა და მან იცოდა ისიც კარგათ, თუ ქართველებში ვინ იყო რუსეთის მთავრობის მომხრე, მათი ერთგული და მასთან საქართველოს ორგული და ქართველთა მტერი, ეს სჩანს იქიდამაც, რომ იგი ქართველებთან ომის დროს, თუ ვინმე ტყვეთ უვარდებოდა ხელში უმაღლესი გვარის კაცთა სამხედრო მოხელენი, ამათ ყოველთვის გარჩევას აძლევდა და ისე ეპყრობოდა მათ.

ამისივე მაგალითია ის გარემოება, რომ როცა იგი კახეთს დაეცა, სოფ. წინანდალში დავით ჭავჭავაძის სახლი აიკლო და აქედან მთელი ოჯახის წევრნიც ქალებიც ᲡᲔ ბავშვებიც კი ტყვეთ იპყრეს და თან წაიყვანეს. ეს იყო იმის ნიშანი, რომ ამ დავით ჭავჭავაძის პაპა იყო გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც იყო თავი და ბოლო საქართველოს სამეფოს დაღუპვის და რუსების შემოყვანის საქართველოში.

ჩვენ არ ვიტყვით იმას, რომ ასეთ ცნობებს შამილს მარტოთ ალექს. ორბელიანი ატყობინებდა, ასეთ ცნობებს უეჭველია მას დაწვრილებით უამბობდა ხოლმე თვით მეფე ერეკლეს შვილი ალექსან. ბატონიშვილიც, რომელიც რუსების საქართველოში შესვლის შემდეგ სპარსეთში სცხოვრობდა და იგი ხან დაღისტანშიაც გადმოდიოდა და შამილთან სცხოვრობდა, ბატონიშვილი დიდი მომხრე და ერთგული იყო შამილის სამხედრო მოქმედების და ხშირათ თვით ესეც იღებდა მონაწილეობას შამილთან ერთათ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვფიქრობთ, რომ შამილს ამ ბატონიშვილის ჩაგონებით უნდა გაეცნა ალექსანდრე ორბელიანი და ამისავე შუამდგომლობით იქმნებოდა ქართველთა და შამილის ურთიერთობა დაწყობილი. შამილის გმირობა და ვაჟკაცობა ქართველთაგან ყოველთვის იქებოდა, მას ქართველებში ბევრი პატივისმცემლები ჰყავდა და ასევე შამილიც სცემდა პატივს ქართველებს და ორბელიანის პირით ეს ქართველებს აშკარათ და გულწრფელად აუწყებდა იმ გარემოებას, რომ მე რუსებს გავაძევებ, საქართველოს და შირვანს ერთად შევაერთებ და ორივ ამ ქვეყნის მეფეთ ალექსანდრე ერეკლეს შვილს დავსვამთ, რომელიც გამართავს ამ ქვეყნების საქმეებს თავისებურის წესებით, ამიტომ ჩემი ერთგული ქართველი იქმნება საქართველოს ერთგული შვილი და ჩემი ორგული და მტერი—კიდევ იქმნება საქართველოს განთავისუფლების მტერი, საქართველოს აღდგენის და ქართველის ეროის თავისუფლებისო.

Შ. Ჭ.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 7 ოკტ.

ახალქალაქიდან—კორგანოვს; ზუგდიდიდან—კალანდარიშვილს; ქობულეთიდან—კობულაძეს; ყაზბეგიდან—ელდაროვს; ქარელიდან—დოლიძეს, გორიდან—კარგარეთელს; ბათუმიდან—კიკნაძეს: ოზურგეთიდან—ცეცხლაძეს; სალოლლიდან—გოაჭიანს; ქუთაისიდან—ფიჩხაიას; ეჩმიაძინიდან—ბაბაიანს; სანაინიდან—კარახანიანს; სალოლლიდან—კარტორინსკის; გაგრიდან—ხარჩილავას; გორიდან—ბაქრაძეს; ლაგოდეხიდან—ვაჩნაძეს.

ᲡᲔᲜᲐᲢᲘ

სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო სხდომაზე დაადგინეს: I, ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ქვანია დაინიშნოს ამავე სასამართლოს წევრად. 2. ქუთაისის ხომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ლ. გრიგოლია დაინიშნოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეთ. 3. ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გ. დილევსკი დაინიშნოს ამავე სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილების წევრად. 4. ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ლუნკევიჩი კანონების გადამსინჯავ კომისიაში დანიშვნის გამო, გამორიცხულ იქმნას ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრობიდან.

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ

— სისხ. სამართლის მილიციამ შეიპყრო რეციდივისტი ნ. ს. ლომოვი, რომელმაც სამი თვის წინად მოპარა პოლკოვნიკ წითელაშვილს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები ღირებული

100,000 მანეთად; ნივთები აღმოჩენილ იქნა და ჩაბარდა პატრონს, მაგრამ ქურდი სისხ. სამ. მილიციის აგენტის დ. პაიჭაძის უყურადღებობის გამო გაიპარა სისხ. სამ. მილიციიდან. მიღებულია ზომები მის დასაჭერად.

— იმავე მილიციამ შეიპყრო ვ. ლ. აროშიძე, პ. კ. სიხარულიძე და საგანგებო რაზმის თანამშრომელი შ. პ. გოლიაძე, რომლებსაც უნდა მოეპარათ ბრილიანტი სასტუმრო „კავკაზში“ მცხოვრებ გ. ი. სიხარულიძისათვის. ხსენებული პირნი დაჭერილ იქმნენ სწორედ იმ დროს, როცა ქურდობა უნდა მოეხდინათ. გამოძიება სწარმოებს.

— შეპყრობილ იქნა აგრეთვე მე-7-ე ბათალიონის ჯარის კაცი გ. მ. ნონიაშვილი და ალ. ოქროპირიძე, რომლებმაც ლ. ოკოევს მოპარეს სამი საზამთრო პალტო და 12 ვერცხლის მანეთიანი.

ფრონტისათვის.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

თათრული ნაციონალურ საბჭოსაგან (შეკრებული)—4390 მ. ტფილისის აფთიაქში მომუშავე კავშირისაგან—12,000 მ. მენაბდისაგან—500 მ. დუმბაძისაგან—500 მ. გორის ფრონტის კომიტეტისაგან—76,670 მ. დ. ახალქალაქის ფრონტის კომიტეტისაგან—29,968 მ. ტფილისის მაზრის ერობის გამგეობისაგან (სხვა და პირთ. შემოწ)—23,618 მ. „ჭრისტენსის“ ცირკის ადმინისტრაციისაგან—2,167 მ. მაშად ალექსპერ მამედოლლისაგან—500 მ.

განცხადებანი

დაიკარგა ატესტატი № 890 და მოწმობა 966 კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ტრესკინის სახელზე, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3027 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 692, მოწმობა ტფილისის მაზრაში ტოპოგრაფიული მუშაობის წარმოების შესახებ № 454 და იარაღის ტარების ნებართვა № 475. გიუგოლევგრენის სახელზე, მიღებული საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3037 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სამსონ ნესტორის ძე ქველიძის სახელზე, მიღებული სოფ. მუხლიდან (რაჭის მაზრა) 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3063 3—2

დაიკარგა პასპორტი № 408 სიმონ ბიჭიას ძე მახარაძის სახელზე, მიღებული სენაკის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3065 3—2

დაიკარგა პასპორტი № 234 გრიგოლ იაკობის ძე პეტრენიკოვის სახელზე, მიღებული მარნის თემის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3070 3—2

დაიკარგა მოწმობა № 9987 ეკატერინე ათანასის ძე არხიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3082 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 8. გრიგოლი ივანეს ძე მაისურაძის სახელზი, მიღებული მე-3 კომისარიატიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს 3083 3—2

დაიკარგა ამიერ-კავკასიის ბანკის კვიტანცია № 1494 კოსტა ბახტაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3076 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1516 მიხეილ სოლომონის ძე ფანჩულიძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3079 3—2

დაიკარგა განჯაში წასვლის ნებართვა აგა აბრამ მოლა ცულოლლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3018 3—3

დაიკარგა მოწმობა ჯარში გაწვევის შესახებ № 21. გიორგი ალექსის ძე გელაშვილის სახელზე, მიღებული ხუნევის თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3080 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან ორი თვით შვებულების მოწმობა, მოწმობა სურათით, მიღებული ბათომის საკონსულოდან 1919 წ. და ორ ცალი „ვარსკვლავის“ საწევრო წიგნაკი აქვს ენტი ჯიჯეიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3081 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნე-მეტყველების ფაკულტეტიდან მიღებული მატრიკული № 960 პროკოფი ნიკოლოზის ძე ნემსაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3084 3—2

დაიკარგა პასპორტი № 138/24 გრიგორი მანუილის ძე გოლოვის სახელზე, მიღებული კიშინიოვის პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3045 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნიკოლოზ რომანეს ძე არხიპოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 1918 წ. რეესტრის № 1109. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3053 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები მიხეილ ივანეს ძე სავენკოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. რეესტრის №№ 3604 და 3605. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3031 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მილიციონერ მალაქია სპირიდონის ძე გვამბრაძეს სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3025 3—3

• ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემო აღნიშნულნი პირნი, როგორც დაბადებულნი 1900 წელში და მიწერილნი ახალციხის მაზრაზე, შეტანილნი იქნენ 1920 წლის მორიგ გასაწვევ სიებში სამხედრო ბეგრის მოსახდელად. ვინაიდან მათი ბინადრობა მიღებულ ზომების მიხედვით ერობის გამგეობამ ვერ აღმოაჩინა, სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებს ვინც იცის ამ სამხედრო ვალდებულთა ეხლანდელი საცხოვრებელი ადგილი, აცნობოს ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობას სათანადო ზომების მისაღებად მათი თავის დროზე საკრებულო პუნქტზე გამოცხადების შესახებ.

ქალ. ახალციხის მცხოვრებლები: 1. ქუფალიანც არა მიკირტის ძე, 2. ხანჯილგრანიან აიქ მიკირტის ძე, 3. დოხსანიან ანუშავან ენოვქის ძე, 4, ბაბიკიანც მისაკ სედრაკის ძე, 5. ჩილინგაროვი ტაჩატ ხაჩატურის ძე, 6. ალი ხანოვი ნიკოლა კარაპეტის ძე, 7. ალექიანც კარაპეტ გუკასას ძე, 8. მანუსაჯიანც არტაშეს ხაჩატურის ძე, 9. ალანბეგიან მამიკონ არშაკის ძე, 10. მეჯიან კარაპეტ მიკირტიჩის ძე, 11. მინასიან არუტინ მისასის ძე, 12. სამეულოვი აიკ არისტაკესის ძე, 13. ლიპირიდი საბა კირილეს ძე 14. შეგოევ არუთინ გრიგორის ძეს 15. აბაჯიანცი მარკიზ გევორქას ძე, 16. კოსიანც არამ ოგანესის ძე, 17. ჯარაკიანც რუბენ მარტიროსის ძე, 18. ალვარიანც დერენიკ ხაჩატურის ძე, 19. ჩახმახიანც აშოთ მარტიროსის ძე, 20. სოლოიანც სამუილ არა, მის ძე, 21. ნაზარეტიან გრიკორ ხაჩატურის ძე, 22. შოსესოვ ზორე გრიქორის ძე, 23, რაფიან ალალი გრიქორის ძე, 24. ალაჯანიან მარკიზ მიკირტის ძე, 25. ყვითელაშვილი ბენიამინ მიხეილის ძე, 26. უზუნოვ ამბარცუმ უსიკის ძე, 27. ბატონაშვილი იუშაფ მიხეილის ძე, 28. ხასიდაშვილი ეფრემ მეირას ძე, 29. კაზლოვსკი ბრონისლავ ანდრიას ძე, 30. ჯანაშვილი გაბრიელ მიხეილის ძე, 31. ანტოშვილი იეუშაყ ოსეფას ძე, 32. ხახამ აბრამიშვილი აბრამ რუბენის ძე, 33. ისკანდაროვ გიორგი ფრანჩინსკის ძე, 34. ნორატოვ არმენაკ მარტიროსის ძე, 35. აბაჯიანც ბენიამინ არუთინის ძე, 36. დანამოვ გრიქორ აკოფის ძე, 37. ტატალოვ ივანე ნიკოლოზის ძე, 38. კონსტანტინოვ ნიკოლოზ იოსების ძე, 39. პეტროვ გრიქორ ამბარცუმის ძე, 40. ნაზარეტიან ლევონ ოვანესის ძე 41. სადალოვ ივანე პოლოსის ძე.

929 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა მიღებული სომხების კონსისტორიიდან არმენაკ გრიგოლის ძე კაზანჯიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3021 3—3

დაიკარგა ღვინო-გასტრონომიული მაღაზიის ნებართვა № 183 ვასილი ბეჭანის ძე ჩაჩიბაიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3023 3—3

დაიკარგა საოჯახო მოწმობა № 6242 მელკონ ოვანეს ძე ხუბიაროვის სახელზე მიღებული სომხების საკონსულოდან ტფილისში 1920 წ. ოქტომბრის 24-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3054 3—2

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი, და მეტრიკული ამონაწერი მარიამ ნიკოლოზის ასული სობენევსკიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3040 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1917 წ. რეესტრით № 77 აფანასი გრინიოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3042 3—2

დაიკარგა პასპორტი № 10 შირზა პარახანას სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3046 3—2

დაიკარგა რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კვიტანცია № 76592 ი. ა. ლესტოვიჩის სახელზე ორი ნივთის მიბარების შესახებ 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3010 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი 4631 მიღებული 26 ნოემბერს 1915 წ. ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან ალექსანდრე ვენედიქტეს ძე ტიხონოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3022 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი იასონ გლახუას ძე კახიანის სახელზე. მიცემული ქუთაისის სამაზრო სამმართველოდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3057 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ბიკტორ იესეს ძე კახიანის სახელზე მიცემული ბათუმის ქალაქის მილიციის სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3057 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ბარნაბა ნესტორის ძე ბაქრაძის სახელზე მიცემული ქუთაისის სამაზრო სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3057 3—2

დაიკარგა მოწმობა პეტრე ივანეს ძე ნოსაკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან 1920 წ. ივნისის 1-ს გაუქმებულად ჩაითვალოს. 3055 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 5403 მიხეილ წულუკიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3044 3—2

დაიკარგა პარტიული ბარათი № 3, მიღებული მე-5 რაიონიდან, სასურსათო ბარათი № 202, მიღებული კახეთ. რკ. გზის სასურსათო კომიტეტიდან, იარაღის ნებართვა, მიღებული ნავთლუღ კახეთის სახალხო გვარდიის შტაბიდან, პასპორტი, მიღებული დიდი ჯიხაიშის საზოგადოებიდან და პირადობის მოწმობა, მიღებული კახ. რკ. გზის დეპოს უფროსისაგან. ნესტორ ანტონის ძე კოხრეიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3039 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი კათოლიკეების ბანდი № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მარდანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3078 3—2

დაიკარგა პასპორტი № 18635 იოსებ გიორგის ძე დოკმაჯიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3007 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალფრედ კარლის ძე შეპფმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ალექსანდრა ნიკოლოზ ტიმოფეის ასული რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1904 წ. 24 ოქტომბერს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას ყველა ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა შეპფის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3012 3—3

დაიკარგა ფართლეულობით ვაჭრობის ნებართვა № 268 იაკუბ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3086 3—1

ტფილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება, 301 და 309 კანონის მუხლის ძალით, 2 ივნისის 1914 წლის ამასთანავე აცხადებს, რომ ზეინა გაღჟი ასადოგლი მურადოვი რომლის ადგილ სამყოფილო სასამართლომ არ იცის, თანახმად იოსებ მოშიას ძე თეთროთი კობიევის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ხრისტოფოროვის თხოვნის მურადოვის მიმართ ნასყიდობის ქალალდის მთავარ ამონაწერის მიცემის შესახებ ვალდებულია განაცხადოს სასამართლოს კანცელარიაში ოთხი თვის განმავლობაში დღიდან ამ პუბლიკაციის „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოთავსებისა თავისი მისამართი ქ. ტფილისში, ან უნდა დაასახელოს ის პირი, რომელთაც შეუძლიათ მის მაგივრად მიიღონ სასამართლოს მიერ მის მიმართ გაგზავნილი ქალალდები. თუ ის დადგენილება მის მიერ სისრულეში მოყვანილ არ იქნება, შესაძლებელია დაინიშნოს სასამართლოს სხდომა და გამოტანილ იქმნას, დაუსწრებული გარდაწყვეტილება. ძიების თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია მოპასუხე მხარისათვის თხოვნის და დანართების პირი. 3091 1—1

სამხედრო სამმართველო თანახმად 1920 წ. ოქტომბრის 2-ის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს ცხენოსანი პოლკის ჯ. კ. ვლადიმერ დიმიტრის ძე ახალაძე 23 წლისა, რომელიც მიცემულია სამართალში თავის ნებით გუნდის დატოვებისათვის.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ვლადიმერ დიმიტრის ძე ახალაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 932 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ონის საზ. კომისრისაგან და მეტრიკული მოწმობა ვლადიმერ ალექსის ძე ხომასურიძეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3092 3—1

დავკარგე მთავრობის საქმეთა მართველობის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა № 1235, 1919 წ. 5 მაისის თარიღით, რომელსაც ამით გაუქმებულად ვაცხადებ. გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟენერი ჭიჭინაძე. 937 3—1

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 1951 ბეცალელ ეხისკელას ძის კვიტელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3090 3—1

განცხადება ტფილისის ნოტარიუსის გ. ლ. მაჭავარიანისა

პირადის მონდობილობით და თანახმად 59 მუხ. სავაჭრო წესდებისა მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ჩემ მიერ 28 სექტემბერს ამა 1920 წელსა რეესტრის № 10020, დამოწმებული ხელშეკრულების ძალით ქ. ტფილისში დაარსდა სრული ამხანაგობა

სახელწოდებით

სავაჭრო სახლი „გურგუჭა“,

რომლის დამაარსებელნი არიან: ქრისტიფორე ქრისტიფორეს ძე ფორერი, ვიკტორ გენრიხის ძე მადერდა, ოტტო კარლოს ძე აპპელო.

ხელშეკრულობის მე-6 მუხლის თანახმად ამხანაგობის გამგედ პირველ ოპერაციული წლის განმავლობაში ითვლება ქრისტეფორე ქრისტეფორეს ძე ფორერი. 3084 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გიორგი ბაქრაძე